საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/660.

ქ. თელავი „20"„09." 2017წ.

სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნების დანიშვნის შესახებ

„უმაღლესი განათლების შესახებ" საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის - წესდების მე-14 მუხლის მე-8 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის, „უნივერსიტეტისა და ფაკულტეტების მართვის ორგანოების არჩევის წესის შესახებ" დებულების 36-ე მუხლის, 37-ე მუხლის მე-3 პუნქტის, უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დებულების მე-8 მუხლის, უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის საბჭოს გადაწყვეტილებისა (20/09/2017წ; ოქმი №20) და უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის დეკანის დავით მახაშვილის სამსახურებრივი ბარათის (20/09/2017წ; №1118849) საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. დაინიშნოს სსიპ იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები;
2. განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის არჩევნები ჩატარდეს 2017 წლის 03 ნოემბერს 10:00 სთ - დან -- 14:00 სთ - მდე;

3. კანდიდატთა რეგისტრაცია დაიწყოს 2017 წლის 23 ოქტომბრიდან და დასრულდეს 2017 წლის 31 ოქტომბერს;

4. კანდიდატთა განცხადებები მიიღება უნივერსიტეტის პირველ სასწავლო კორპუსში, ოთახი №27, 10:00 საათიდან - 17:00 საათამდე;

5. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელობის კანდიდატმა უნივერსიტეტის საარჩევნო კომისიას უნდა წარუდგინოს შემდეგი სახის დოკუმენტაცია:

ა) განცხადება;
ბ) პირადობის მოწმობის ასლი;
გ) უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის რეკომენდაცია;
დ) ავტობიოგრაფია (CV);
ე) ცნობა ფაკულტეტიდან (ფაკულტეტის საბჭოს წევრობისა და დოქტორის აკადემიური ხარისხის შესახებ).

6. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას ბრძანების ასლის განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;

7. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტს;

8. დაევალოს უნივერსიტეტის ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურს ბრძანების ასლის განთავსება უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე;

9. ბრძანების ასლი გადაეცეს უნივერსიტეტის საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს;

10. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;

11. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს დაინტერესებული პირის მიერ მისი გაცნობიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დ. აღმაშენებლის N 41).

უნივერსიტეტის რექტორი /ირმა შიოშვილი/